ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
SAKREBULO OF MUNICIPALITY OF POTI CITY

ბრძანება:**ბ43.43213212**

თარიღი:**17/11/2021**

ახალი კორონავირუსის (COVID 19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გასატარებელი დამატებითი ღონისძიებების შესახებ

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად დამსაქმებელი ვალდებულია ფუნქციების განაწილების საფუძველზე წერილობით განსაზღვროს შრომის უსაფრთხოების სფეროში შესაბამისი დასაქმებულებისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების ვალდებულებები და პასუხისმგებლობა.**

„ახალი კორონავირუსის (COVID 19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის №529 განკარგულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ეპიდემიური საფრთხის შემცირებამდე უნდა შეიზღუდოს დაწესებულების მიერ საჯარო ღონისძიებების ორგანიზება.**

„სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე‘‘ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების დანართი 3-ის შესაბამისად, **სამსახურეობრივ ოთახებში დაცული უნდა იქნეს უსაფრთხო დისტანცია (არანაკლებ 2 მ) და სხვა.**

ამდენად, ახალი კორონავირუსის (COVID 19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში უნდა გატარდეს დამატებითი ღონისძიებები, კერძოდ: მოხდეს საკრებულოში უცხო პირების დაშვების რეგულირება, შემოღებულ იქნას საშვთა სისტემა, საშვის შევსებაზე და სხვა ღონისძიებებზე საკრებულოს აპარატის უფროსის ზეპირი დავალებით განისაზღვროს უფლებამოსილი პირი, საკრებულოს ოთახების ფართის სიმცირის გამო, 2 მეტრიანი დისტანციის დაცვის მიზნით, საკრებულოს თანამშრომლების გარდა 1 ოთახში (მათ შორის კორიდორში და სხვა ადგილას) დაშვებულ იქნას არაუმეტეს 3 უცხო პირი (ამასთანავე დაცულ იქნას დისტანცია 2 მეტრი), ვიზიტორი ვალდებულია მისი საკითხის დარეგულირების შემდეგ დატოვოს შენობა, მხოლოდ ამის შემდეგ აქვს უფლება ახალ ვიზიტორებს შევიდეს ოთახში, ზემოხსენებული პირობებით და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით. დაუშვებელია არასამუშაო დროს (18^{00} საათიდან, 9^{00} საათამდე) საკრებულოს სამსახურეობრივ ოთახებში (შენობაში) იყოს უცხო პირი. ზემოხსენებული მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში აღნიშნული პირი შესაბამისი ორგანოების მიერ გაყვანილ იქნება შენობიდან.

აღნიშნული ბრძანებით განუსაზღვრელ ტექნიკურ საკითხებზე ზეპირი დავალებით გადაწყვეტილება მიიღოს საკრებულოს თავმჯდომარემ/საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ან აპარატის უფროსმა.

საქართველო, 4400, ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის ქ. N12; ტე/ფაქსი: 0(0493)225700; 221386
ელ- ფოსტა: POTISAKREBULO@GMAIL.COM

ახალი კორონავირუსის (COVID 19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, აღნიშნული ბრძანებით განუსაზღვრელი საკითხები რეგულირდება „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით, „ახალი კორონავირუსის (COVID 19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის №529 განკარგულებით „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე‘‘ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების, „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე‘‘ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების შესაბამისად, ვბრძანებ:

1. **ახალი კორონავირუსის (COVID 19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გატარდეს დამატებითი ღონისძიებები, კერძოდ: მოხდეს საკრებულოში უცხო პირების დაშვების რეგულირება, შემოღებულ იქნას საშვთა სისტემა, საშვის შევსებაზე და სხვა ღონისძიებებზე საკრებულოს აპარატის უფროსის ზეპირი დავალებით განისაზღვროს უფლებამოსილი პირი, საკრებულოს ოთახების ფართის სიმცირის გამო, 2 მეტრიანი დისტანციის დაცვის მიზნით, საკრებულოს თანამშრომლების გარდა 1 ოთახში (მათ შორის კორიდორში და სხვა ადგილას) დაშვებულ იქნას არაუმეტეს 3 უცხო პირი (ამასთანავე დაცულ იქნას დისტანცია 2 მეტრი), ვიზიტორი ვალდებულია მისი საკითხის დარეგულირების შემდეგ დატოვოს შენობა, მხოლოდ ამის შემდეგ აქვს უფლება ახალ ვიზიტორებს შევიდეს ოთახში, ზემოხსენებული პირობებით და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით. დაუშვებელია არასამუშაო დროს (18^{00} საათიდან, 9^{00} საათამდე) საკრებულოს სამსახურეობრივ ოთახებში (შენობაში) იყოს უცხო პირი. ზემოხსენებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი პირი შესაბამისი ორგანოების მიერ გაყვანილ იქნება შენობიდან.**

2. **აღნიშნული ბრძანებით განუსაზღვრელ ტექნიკურ საკითხებზე ზეპირი დავალებით გადაწყვეტილება მიიღოს საკრებულოს თავმჯდომარემ/საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ან აპარატის უფროსმა.**

3. **ახალი კორონავირუსის (COVID 19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, აღნიშნული ბრძანებით განუსაზღვრელი საკითხები რეგულირდება „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით, „ახალი კორონავირუსის (COVID 19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის №529 განკარგულებით „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე‘‘ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.**

4. საკრებულოს შენობაში მყოფ ყველა პირმა, დაიცვას ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული რეკომენდაციები, ჰიგიენის წესები და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები.

5. საკრებულოს აპარატის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებამ მოახდინოს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების თანახმად, საკრებულოს შენობის, სამსახურეობრივი

ოთახების დამუშავება, შესაბამისი ჰიგიენური, სადეზინფექციო საშუალებებით საკრებულოს უზრუნველყოფა და სხვა ღონისძიებების გატარება.

6. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე-2021 წლის 17 ნოემბრიდან. ბრძანება გამოიკრას საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N3)

ბექა ვაჭარაძე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი